სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/88

ქ. თბილისი 15 მაისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
„ოქროს მედლით“ დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 15 მაისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი ჯუმბერ მალაღურაძე დაჯილდოვდეს „ოქროს მედლით“ და ფულადი ჯილდოთი (500 ლარის ოდენობით).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**